



PROCARBAZINE - NATULAN®

რა არის NATULAN-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
პროკარბაზინი	50 მგ კაფსულა 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 50 მგ-იანი კაფსულა, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში ერთი მიღებით.....

(მიუთითეთ, მიიღება უწყვეტლივ ან არა).

მიიღება უწყვეტლივ ან რამდენიმე კვირა Natulan®-ის მიღების გარეშე (თუ დანიშნულია სხვა ქიმიოთერაპიულ საშუალებებთან ერთად). ეჭვის შემთხვევაში, მიმართეთ სამედიცინო გუნდს.

კაფსულები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაშლის ან წყალში გახსნის გარეშე.

მიიღეთ მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე.

დავინყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე	  
---	--

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციებს) და კლინიკურ მეთვალყურეობას.

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

NATULAN®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ ალკოჰოლს (მოულოდნელი შეხურება, სინითლე, ღებინება და გულის ფრიალი) და

ტირამინით მდიდარ საკვებს (გარკვეული ყველი, ფერმენტირებული თევზი და ძხვეული, მუავე კომბოსტო) NATULAN®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, კუჭის შეკრულობა ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები: სისხლის თეთრი უჯრედების (ლეიკოპენია), ნეიტროფილების პოლინუკლეარული უჯრედების (ნეიტროპენია), თრომბოციტების (თრომბოციტოპენია) და მაგნიუმის დონის შემცირება. უშვილობა ნევროლოგიური დარღვევები: > ძილიანობა, დაბნეულობა, აგზნებადობა, თავის ტკივილი, ძილის დარღვევა > ნეიროპათიები (ჩხვლეტა, მგრძნობელობის დარღვევები) კანის დარღვევები: თმის ცვენა (ზომიერი) დაღლილობა, ალერგიული რეაქციები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: > მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. > კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა ინფექციის მიმანიშნებელი სიმპტომები > ტემპერატურა > 38.5°C > ხველა, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვის დროს, დიარეა სიცხესთან ერთად ფილტვების არეში დარღვევები > გაძლიერებული მუდმივი ხველა ან სუნთქვის გაძნელება სისხლდენის მიმანიშნებელი სიმპტომები > სისხლი განავალში, ან ღებინების დროს > სისხლჩაქცევები (სილურჯეები), ცხვირიდან სისხლდენა ალერგიის მიმანიშნებელი სიმპტომები > ქავილი გამონაყართან ერთად, ზოგჯერ სახსრების ტკივილი > სახის, ტუჩების, ენის და/ან ყელის შეშუპება, რაც იწვევს ყლაპვის ან სუნთქვის გაძნელებას > კანის მნიშვნელოვანი ბუშტუკების ან ძლიერი აქერცვლის გაჩენა დეპრესიაზე მიმანიშნებელი სიმპტომები > დეპრესიული აზრები > უძილობა > მეხსიერების დაკარგვა ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > თავის ტკივილები > სახსრების ტკივილი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.
კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების	მოერიდეთ კაფსულების კონტაქტს კანთან. ატარეთ



მანიპულაცია	ხელთათმანები და დაიბანეთ ხელები მანიპულაციის შემდეგ
უშვილობა	მკურნალობის დაწყებამდე მიმართეთ ექიმს კვრცხუჯრედებისა და გამეტების შენარჩუნების გზების შესახებ ინფორმაციისთვის .
დაღლილობა, ძლიანობა	ამჟობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით. ამჟობინეთ მედიკამენტების მიღება საღამოს.
სისხლდენა, სისხლჩაქცევები	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) მიღებას. აცნობეთ თქვენს ექიმს: > თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანტიაგრეგანტულ პრეპარატებს : საჭიროა მკაცრი მონიტორინგი > ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევის შემთხვევაში
კუჭის შეკრულობა	კიჭ-ნაწლავის ტრანზიტის სტიმულირებისთვის , დაკავდით ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობით: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ.
თმის მოვლა	გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჯაგრისს მოერიდეთ თმის ძალიან ხშირად დაბანას. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მელნირებას და ქიმიურ დახვევას.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
წონის დაკლება	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელ კვებას“.